ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - „კიბერუსაფრთხოების ბიუროსა“ და სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას“ შორის

ერთი მხრივ, სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო, წარმოდგენილი - მისი დირექტორის ანდრია გოცირიძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, წარმოდგენილი მისი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პოლკოვნიკი მალხაზ მაკარაძის სახით, (შემდგომში - მხარეები) აღიარებენ და ეფუძნებიან რა თავდაცვის სფეროში თითოეული მათგანის დანიშნულებას, ეყრდნობიან ურთიერთპატივისცემის უცვლელ რწმენას და თანხმდებიან თანამშრომლობის შემდეგ პირობებზე:

1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია თავდაცვის სამინისტროს სისტემაში კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

2. მემორანდუმის ამოცანები

ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, ერთობლივად განახორციელონ:

ა) აკადემიის ბიბლიოთეკაში, კიბერკუთხის მოწყობა;

ბ) კიბერკუთხეში არსებული ლიტერატურის გამოყენების სტატისტიკის ერთობლივი მონიტორინგი;

გ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

დ) კიბერუსაფრთხოების სფეროში ლექცია/სემინარები/ტრეინინგების პერიოდული ჩატარება და კიბერკუთხის მომარაგება ლიტერატურით.

3. დასკვნითი დებულებები

ა) მემორანდუმის საფუძველზე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდება ბიუროსა და აკადემიას შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა ან გაუქმება მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

გ) თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის, იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე;

დ) მხარეები ოფიციალური კომუნიკაციისათვის იყენებენ შემდეგ მისამართებს:

სსიპ „კიბერუსაფრთხოების ბიურო“ - საქართველო, ქ. თბილისი 0103, ც. დადიანის ქ. №30, ტელეფონი: +995 322000345; ვებგვერდი - www.csbd.gov.ge; ელექტრონული ფოსტა info@csbd.gov.ge. სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“ - საქართველო, ქ.გორი 1400, ცხინვალის გზატკეცილი მე-5 კილომეტრი, ტელეფონი: +995 322305285; ვებგვერდი www.eta.edu.ge; ელექტრონული ფოსტა - nda@mod.gov.ge;

ე) წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;

ვ) მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე;

ზ) მხარეები უფლებამოსილნი არიან წერილობითი ურთიერთშეთანხმებით გააუქმონ მემორანდუმი.

მხარეთა ხელმოწერები

სსიპ „კიბერუსაფრთხოების ბიუროს“ დირექტორი	სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის“ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ანდრია გოცირიძე	პოლკოვნიკი მალხაზ მაკარაძე

ქ. გორი 8 თებერვალი 2016 წელი